№ 137
ხუთშაბათი, 1 ივლისი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 137
ხუთშაბათი, 1 ივლისი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 2 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

შევისწავლე რა **საეკკლესიო მხატვრობა** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

## საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდანოვის სახლი. **ანდრეევი.** (30—78—22)

## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდე!, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამ.
აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.
განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—75—10)

**ТОЛЬКО НА ШЕСТЬ ДНЕЙ**
**28, 29, 30-го Іюня, 1, 2 и 3-го Іюля**
по установленному порядку одинъ разъ въ годъ соскидкою съ цѣнъ прейсъ-куранта до
**40% СЪ РУБ.**
**БОЛЬШАЯ ДЕШЕВАЯ**
**РАСПРОДАЖА**

въ остаткахъ и цѣлыхъ штукахъ полотно, столовое бѣлье, разный бумажный товаръ, бархатные ковры и скатерти, одѣяла теплыя и лѣтнія и много другихъ т. п. товаровъ.

Мужское и дамское бѣлье (по преимуществу сезонное т. е. цвѣтное), саратовскія сарпинки, батисты, кисей и др. матерія для плат. и рубашекъ.

Въ магазинѣ П. С. ДОРОЖНОВА.
Сололакская, д. Гургенова. (3—90—3)

ტფილისი, 30 ივნისი

28 ივნისს, დილის 9 საათსა და 35 წუთს, აბასთუმანს გარდაიცვალა მისი იმპერატორებითი უმაღლესობა მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე, რომლის განსვენების სამწუხარო ამბავიც 28 ივნისსავე მოეფინა მთელს კავკასიას.

განსვენებული დიდი მთავარი დაიბადა 1871 წლის 27 აპრილს და ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის სამეფო ტახტზედ ასვლის დროიდგან. იმოგზაურა აღმოსავლეთში, მოიარა საბერძნეთი, ეგვიპტე, სამხრეთი და ჩრდილოეთი ინდოეთი და მას შემდეგ, შვიდს წელიწადზედ მეტია, ავადმყოფობისა გამო სცხოვრობდა კავკასიაში—აბასთუმანს, სადაც მისი იმპერატორებითი უმაღლესობა თვალყურს ადევნებდა თავისს სამშობლოს ავ კარგს. მისს სასახლეში, აბასთუმანს, დაცულია ძვირფასი წიგნთ-საცავი კავკასიის წარსულისა და აწინდელ მდგომარეობის შესახებ. ჩვენის ქვეყნის სიყვარულით აღსავსე, აწ განსვენებულ დიდ მთავრის შუამდგომლობით, სხვათა შორის, დიდძალი ფული იქმნა გადადებული კავკასიის მუზეის აღსაწერადა და დასურათებულ კატალოგის გამოსაცემად. მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის მფარველობისა გამო მრავალი ძვირფასი შრომა დაიბეჭდა კავკასიისა, მისის ბუნების-მეტყველებისა და ეტნოგრაფიის შესახებ.

მიზეზი მემკვიდრე ცესარევიჩის ყველასათვის სამწუხარო გარდაცვალებისა ისა ყოფილა, რომ ყელიდგან უცბად სისხლი ჩამოსქდომია. ტახტის მემკვიდრედ დანიშნულია მ. სი უმცროსი ძმა, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 ივნისი

**პეტერბურგი.** საიმპერატორო კარის მინისტრის ცნობა. 28 ივნისს, დილის 9 საათსა და 25 წუთს, აბასთუმანში ღვთივ განისვენა მემკვიდრე ცესარევიჩმა და დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ. მიზეზი მისის უმაღლესობის გარდაცვალებისა ის იყო, რომ ყელიდგან უცბად სისხლი წამოსქდა მრავლად. ნაბრძანებია, რომ უმაღლესს სასახლეში მგლოვიარება სამის თვით იქმნას დადგენილი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი მანიფესტი. წყალობითა ღმთისათა, ჩვენ, ნიკოლოოზ მეორე, იმპერატორი თვით-მპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა, და სხვათა, და სხვათა, და სხვათა, ვუცხადებთ ყველა ჩვენთა ქვეშევრდომთა.

ამა ივნისის 28-სა დღესა აბასთუმანს გარდაიცვალა საყვარელი ძმა ჩვენი მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე. იმედი იყო, რომ სენი, რომლითაც მისი იმპერატორებითი უმაღლესობა იყო შეპყრობილი, დაძლეულ იქმნებოდა დაწყებულ წამლობისა და სამხრეთის ჰავის გავლენისაგან, მაგრამ უფალმა სხვაფრივ განსაჯა. უდრტვინველად ვემორჩილებით რა განგებულებასა უფლისასა, მოვიწოდებთ ყველა ჩვენთა ერთგულთა ქვეშევრდომთა გაიზიარონ ჩვენთან ერთად გულითადი ურვა ჩვენი და გულმოდგინე ვედრება, რათა განუსვენოს სულსა ჩვენის მიცვალებულის ძმისასა.

ამიერიდგან, ვიდრე ღმერთი არ ინებებს კურთხევასა ჩვენსა და ვაჟიშვილი არ დაგვებადება, უმახლობელესი უფლება სრულიად რუსეთის ტახტის მემკვიდრეობისა, ტახტის მემკვიდრეობის სახელმწიფო ძირითად კანონის საფუძველით, ეკუთვნის უსაყვარლესსა ძმასა ჩვენსა დიდს მთავარს მიხეილ ალექსანდრეს ძეს.

ბოძებულია პეტერგოფს 28 სა დღესა ივნისისასა, ქრისტეს დაბადებიდგან ათასს რვაასს ოთხმოცდა ცხრამეტსა, ხოლო მეფობისა ჩვენისა მეხუთე წელსა.

ნამდვილს მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

„ნიკოლოოზი".

## ფელეტონი

### პასუხად ბ-ნს ივ. გომართელს *)

„Бѣда коль пироги начнетъ печь сапожникъ, а сапоги точать пирожникъ".

კრილოვი

რუსების ცნობილმა კრიტიკოსმა ბელინსკიმ სამართლიანად აღნიშნა ერთი უტყუარი ფაქტი: „რომ ვისმე ჰკითხო რჩევა ხიდის ანუ სახლის აშენების შესახებ—გეტყვის, მე არც ინჟინერი ვარ და არც ხუროთ-მოძღვარიო; მაგრამ თუ იმავე კითხვით მიჰმართავთ ვისმე ავადმყოფობის ანუ შვილის აღზრდის გამო, უეჭველად მიიღებთ აუარებელს რჩევას, ამოკრეფილს თავისის ბებიის კარაბანიდგანო". ერთს ნიმუშს ამ გვარის მოვლენისას, სხვათა შორის, ვხედავთ ბ-ნ გომართელშიაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ძნელი იქნება ისეთი საკითხი, რომლის გამოც ბ-ნმა გომართელმა არ გააბას ბაასი. ახლა პედაგოგიასაც შეებღაუჭა და ცდილობს დაანახვოს „კვალის" მკითხველებს შეუძლებლობა და უხერხულობა იმ პედაგოგიურის აზრებისა, რომელიც ჩვენ წარმოვთქვით შარშან „ივერიაში", სხვა-და-სხვა დროს, საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის" გარჩევის დროს.

ვინ არ იცის, რომ მოკლე ბიბლიოგრაფიულ წერილებში ძნელია წარმოთქმა ყოველის მხრივ დასაბუთებულის, აწონ-დაწონილის აზრებისა რომელისამე რთული საკითხის შესახებ, მაგრამ ჩვენ მაინც ვცდილობდით შეძლებისა დაგვარად გაგვეტარებინათ დასაბუთებული აზრებიც, და ამიტომ გვგონია, რომ ყველა წამკითხველი ჩვენის წერილებისა ისეთს დასკვნას ვერ გამოიტანდა იქიდგან, როგორიც გამოუტანია ბ-ნს გომართელს, რომელმაც თავისი აზრი, ჩემი წერილების გამო, მიძღვნა „კვალის" ფურცლებზედ. ამის მიუხედავად ბ-ნმა გომართელმა მაინც ვერ დაარღვია საბუთიანად ჩვენი აზრები ბავშვების აღზრდის შესახებ, რასაც ქვემოდ დავინახავთ. მესმურს ამ წერილში გავარჩიო ბ-ნ გომართელის შეხედულობა ბავშვების აღზრდის საქმეში.

შარშან ჟურნალ „ჯეჯილის" პირველ ნომრის გარჩევის დროს ჩვენ შევნიშნეთ, რომ იმისთანა სცენებს, რომელსაც შეუძლია ზნეობრივად ცუდად იმოქმედოს ბავშვზედ, უნდა მოარიდონ ბავში-მეთქი. ეს აზრი წარმოგვათქმევინა ქ-ნ ეკ. გაბაშვილის მოთხრობამ, რომელშიაც ერთ ადგილას შევნიშნეთ, რომ მედუქნე ატყუებდა მყიდველს. ეს სცენა მოთხრობაში ისეა გატარებული, თითქოს ეს ჩვეულებრივი მოვლენა სრულიად გასაკიცხი არ იყოს, ან დასაძრახისი. ბავშვს თავის თავად კრიტიკულად აწონ-დაწონვა ფაქტისა არ შეუძლიან, რომ შეეძლოს, მაშინაც ვინ იცის, რა გზას დაადგება,—განა მედუქნე, რომელიც ატყუებს მყიდველებს, იმას არ ჰფიქრობს, რომ კარგს საქმეს სჩადის, რადგანაც ამ მოტყუებას მისთვის სარგებლობა მოაქვს! ამიტომ ვამბობდით, ნუ უჩვენებთ ბავშვებს ისეთ მაგალითს, რომელსაც შეუძლიან ცუდად იმოქმედოს იმაზედ. თუ საყმაწვილო მწერლობაში, რომელსამე მოთხრობასა ანუ ლექსში გატარებული იქნება უზნეობაც, ცხოვრების ცუდი მხარეც, რომელიც ბავშვს ცხოვრებაში უკვე გამოუცდია, მაგრამ გატარებული იქნება ხელოვნურად, რომ ბავშვს ადვილად შეეძლება თავის-თავად კარგისა და ავის გამოცნობა, რასაკვირველია, ჩვენ ამის წინააღმდეგი არ ვყოფილვართ და არც ვართ. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ „ივერიიდგან" ჩვენ სიტყვებს, მაგალ., პირველი ლექსის „მერცხალის" გარჩევის დროს, რომელშიაც უზნეობაც არის დახატული—მერცხლების წვალება, რომელიც ყველა ბავშვს გამოუცდია, ჩვენ ვწერდით: „ჩვენი ბავშვები სიამოვნებით წაიკითხავენ ამ ლექსს და განიმსჭვალებიან იმ გრძნობით, თუ რა ცუდია, როცა რომელსამე ცხოველს თუ ფრინველს აწვალებენ პატარა ცელქი ბავშვები" („ივერია" № 54, 1898 წ.). ამასვე ვამბობდით მოთხრობის „ობობას" შესახებაც, რომელშიაც მოსისხლეობაა აწერილი, მაგრამ ბოროტება ბოლოს ისჯება და სხვა. აქედან შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ საყმაწვილო მწერლობაში შესაძლებელია იხატებოდეს ცხოვრების ზოგიერთი ცუდი მხარეც, მაგრამ დიდის სიფრთხილით და ისიც შესაფერ წლოვანებისა.

რაც შეეხება პატარა მკითხველებს, იმათთვის ჩვენ ყოველთვის უპირატესობას მივცემთ ისეთ მასალას, რომელიც იძლევა კარგ მაგალითებს, ვიდრე ცუდს. მართალია, ამ საკითხის შესახებ სულ სხვა-და-სხვა ნაირი აზრი არსებობს, მაგრამ ჩვენ ყველაზედ უფრო საბუთიანად მიგვაჩნია ის აზრი, რომელიც დამყარებულია ბავშვების პსიხო-ფიზიოლოგიაზედ. პატარა ბავშვები ათი-თერთმეტის წლისანიც და შემდეგშიაც შესანიშნავად იჩენენ მიმბაძველობას, რომელიც შეადგენს ქვა-კუთხედს, უპირველესს საშუალებას ბავშვებზედ ზნეობრივად გავლენისათვის. როდესაც ბავშვს (თუ გინდ მიმბაძველობით) აჩვევენ კარგად ქცევას, ეს იმასვე ჰნიშნავს, რომ აჩვევენ კარგად ფიქრობას, რასაკვირველია, თუ ბავშვის გონების განვითარება ჰარმონიულად წარმოებს. ცუდის საქციელის დახატვით ჰფიქრობენ აღძრან ბავშვში სიძულვილი ყველა ცუდისა და ბიწიერებისა და განავითარონ მისწრაფება და სიყვარული სათნოებისა. ამ ნაირად, ზოგიერთების აზრით, ცუდი სცენები მისთვის არის საჭირო, რომ ბავშვმა ბოროტი შეიძულოს და კარგი შეიყვაროს. ბ-ნის გომართელის აზრითკი „აღზრდის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანი ის უნდა იყოს, რომ ბავშვს კრიტიკული აზროვნობა განუვითაროს, კარგიც გააცნოს, ცუდიც, კრიტიკულად აწონ დააწონინოს, ცალმხრივობას აცილოს და მარტო მის რწმენაზე არ იმოქმედოს" („კვალი" № 14). ეს აზრი, იმას გარდა, რომ სრულიად უსაფუძვლოა, ამასთანავე ძნელად შესასრულებელია, ისიც საყმაწვილო ჟურნალის შემწეობით. პატარა ბავშვებში, რო-

*) ეს წერილი „კვალს" გავუგზავნე, მაგრამ ამ გაზეთის რედაქციამ არ ინება მისი სრულად დაბეჭდვა.

ავტ.

# ახალი ამბავი

*** პირველი პანაშვიდი ღვთივ განსვენებულის მისის იმპერატორებითის უმაღლესობის, მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის ულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნა 29 ივნისს სიონის ტაძარში დიდით საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს-მიერ სამღვდელოებ,ის თანამსახურებით, ხოლო მეორე პანაშვიდი გარდაიხადა იმავე ტაძარში ეპისკოპოსმა ლეონიდემ.

*** საქართველოს ექსარხოსი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი ფლაბიანე ამ დღეებში მიემგზავრება აბასთუმანს.

*** მთავარმართებლის თანაშემწე კენერ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზე გაემგზავრა აბასთუმანს.

*** ტფილისის გუბერნატორი პოლკოვნიკი ი. ნ. სვეჩინი 28 ივნისს აადსახურის გამო აბასთუმანს გაემგზავრა.

*** წელს მიწად-მოქმედების საიინისტროს სამეცნიერო კომიტეტი დაუნიშნავს იმპერატორის ალექსანდრე მე-III-ის სახელზედ დაარსებულ პრემიას 3000 მან. იმას, ვისაც ამ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში საუკეთესო თხზულება დაუწერია ჰვევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ.

*** ფინანსთა სამინისტრომ შეატყობინა ტფილისის სახაზინო პალატას, რომ ამ მოკლე ხანში გამოიცემა კანონი კავკასიის საერო დარაჯობის საქმეთა ცვლილების შემოღების შესახებ და რომ დარაჯთა რიცხვის გამრავლებასა და მათის ჯამაგირის მომატებასთან ერთად შესამჩნევად იქმნება მომატებული საერო ხარჯიო.

*** როგორც ისმის, ოზურგეთის მაზრის სოფლებს: ბასილეთს, მიწიეთს, ბუქნარს და ოცხანას შუამდგომლობა აღუძრავთ ფინანსთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ დამტკიცებულ იქმნას ბასილეთის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წესდების პროექტი. ასეთივე შუამდგომლობა აღუძრავთ სამინისტროს წინაშე იმავე მაზრის სოფ. ლანჩხუთის და სხ. მცხოვრებთ.

*** ამ წლის ივლისში სიღნაღის მაზრის სოფ. ქვემო-მაჩხაანში გაიმართება სასოფლო ქსენონი, რომლის მმართველად დანიშნულია ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს მკურნალი ა. ნ. დიასამიძე.

*** გორის მაზრის სოფ. ბენისიდგან გვატყობინებენ, რომ იქ ყოფილა მშვენიერი მხატვრობიანი პატარა ტაძარი, რომლის კარებზედ აწერია, რომ ეს ტაძარი აშენებულია დიდის მოურავის გიორგი სააკაძის-მიერ.

*** როგორც ისმის, არსდება საზოგადოება „ელექტრონის ძალა“, რომელსაც საგნად ექმნება გამართოს ამიერ-კავკასიასა და რუსეთის სხვა ადგილებში მთავარ-სადგურები ელექტრონის ძალის გადასაცემად. საზოგადოების ძირის თანხა უდრის ოთხ მილიონ მანეთს.

*** ბორჯომიდგან აქაურს გაზეთებსა სწერენ, რომ იქ ამ დღეებში კიევის უნივერსიტეტის პროფესორმა გრენმა დაიწყო ლექციების კითხვა კავკასიის ისტორიისა და საზოგადო ეტნოგრაფიის შესახებ. ლექტორს ჯერ წაუკითხავს მხოლოდ ერთი ლექცია, რომელშიაც შეხებია კავკასიაში წარმართობის დროს მომხდარ ამბებს. ლექციას ძალიან ცოტა მსმენელი დასწრებია. ადგილობრივ მცხოვრებთა შორის სულ ორ კაცს მოუსმენია ლექცია.

*** სიღნაღის მაზრის სოფ. კარდანახში დანიშნულია ვენახის წამლობის კონკურსი.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ქობულეთის სადგურთან განზრახვა აქვთ გამართონ ნავთის საწყობი, საიდგანაც ნავთს მილებით გადაიტანენ ბათუმის სადგურის აუზებში.

*** რედაქციამ მიიღო მე-VI ნომერი ჟურნალ „მოამბისა“. შინაარსი ამ ნომრისა: I—ნავარდობა.—ნაწილი მეორე,—I II, III, IV, V, და VI.—მოთხრობა მელანიასი; II—ლექსი გ. რუხაძისა; III—სტუდენტი ანაფორით. I, II, III და IV.—(ძველის სტუდენტის ნაამბობიდგან), პოტაპენკოსი, თარგმ. ვლ. ედილაშვილისა; IV—კრაზანა.—I, II,—რომანი იტალიის ცხოვრებიდან, ჯ. ვერინგისა, თარგმანი; V—დამონებულნი.— XVIII, XIX, XX, XXI, XXII და XXIII.—რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან, ივ. ვაზოვისა, თარგმანი (გაგრძელება); VI მასხარა პამფალონი.—XIII, XIV, XV, XI, XVII, XVIII XIX,—მოთხრობა ნ. ს. ლესკოვისა, თარგმანი ზ. ხ.—ისა (გაგრძელება); VII—გადმოსახლებულების დაბინავება საქართველოში.—(ისტორიული წერილი.)—III, IV.—ალ. ყ—მესი (დასასრული); VIII ომირ-ფაშა სამეგრელოში.—III.—კ. ა. ბოროზდინისა, თარგმანი თ. ს.—სი. (დასასრული). ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წარმომადგენელთა კრება; ქუთაისის სათავად აზნაურო ბანკის წარმომადგენელთ კრება; შინაური მიმოხილვა.—ტფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკების კრება.—თავ. ილია ჭავჭავაძის დავწლი ბანკის საქმეში.—ბ-ნ კალისტრატე ჩიკვაიძის დანაშაული.—ბ. ბ. ლოლუას, თოფურიას და ჯორჯიკიას საქციელი კრებაზე.—იმერეთის სამღვდელოების კრება.—† ი. ბ. სტარიცკი; ბიბლიოგრაფია;—I. О народномъ врачеваніи въ Закавказскомъ краѣ, д-ра И. И. Пантюхова. 1899 г.—II. Вліяніе маляріи на колонизацію Кавказа, д-ра И. И. Пантюхова. 1899 г.

*** ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა 28 ივნისს ტფილისის პოლიციმეისტერს, ზომები მიიღეთ ქალაქში გამრავლებულ მაწანწალა ძაღლების დასახოცად, რომლებიც სიცხეების გამო ადვილად შეიძლება გაცოფდნენო.

*** ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელმა გ. ს. კოვალევმა წინადადება მისცა პოლიციის ყველა ნაწილის ზედამხედველთ, დაიარეთ ყველა ქუჩები და წინადადება მიეცით სახლის პატრონთ დაასუფთაონ ორის კვირის განმავლობაში თავიანთი ეზო-კარ-მიდამოებიო.

*** როგორც ისმის, ტფილისის მაზრის მკურნალად დანიშნულია ტფილისის გუბერნიის მკურნალის თანაშემწე კ. ფ. კლიაჩინი.

*** სამხედრო ბეგარის სამაზრო საკრებულოს თავმჯდომარემ, გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილმა შუამდგომლობა აღძრა სამხედრო ბეგარის საგუბერნიო საკრებულოს წინაშე იმის შესახებ, რომ სამხედრო ბეგარის განყოფილებათა რიცხვი მომატებულ იქმნას ექვსამდე (დღეს ასეთი განყოფილება მაზრაში ოთხია).

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მდივნის თანამდებობის აღსრულებას 20 აგვისტოდგან შეუდგება ა. ნ. მიქაბერიძე, რომელიც არჩეულ იქმნა ამ თანამდებობაზედ ამ ერთის თვის წინად.

*** 1898 წლის დამდეგს ტფილისის გუბერნიის ყველა საპატიმროებში დაპატიმრებული ყოფილა 945 კაცი. წლის განმავლობაში დაუპატიმრებიათ 5451 კაცი, ხოლო განუთავისუფლებიათ—5344 კაცი. ტუსაღთა შორის დანაშაული ჩაუდენიათ: სარწმუნოების წინააღმდეგ—13 კაცს, მართვაგამგეობის წეს-რიგის წინააღმდეგ—322-ს, ხაზინის შემოსავლისა და ქონებათა წინააღმდეგ—49-ს, საზოგადო წესიერებისა და მშვიდობიანობის წინააღმდეგ 281-ს, მკვლელობით—237-ს, მკვლელობის განზრახვით—157-ს, დაჭრით—88-ს, შეურაცხებით—54-ს, გაუპატიურებით—19-ს, ცრუ-დაბეზღებით—1-ს, ბავშვის მოკვლით—2-ს, ცეცხლის წაკიდებით—20-ს, გაძარცვით და ყაჩაღობით—170-ს, ქურდობით—1,057-ს, ნაქურდლის დამალვით—153-ს, მოტყუებით—55-ს, სიყალბით—21-ს, ცხენისა და სხვა პირუტყვის მოპარვით—73-ს, კერძო საკუთრების წინააღმდეგ—94-ს, ქორწინების წინააღმდეგ—20-ს.

## წერილი სამტრედიიდგან.

(სარწყავი წყლის საჭიროების გამო)

დაბა სამტრედია მდებარეობს მდ. რიონისა და ცხენის-წყლის შუა. მაინცა და მაინც დაშორებული არ არის არც ერთ ამ მდინარეთაგან, მაგრამ ორივე ზურგები დარჩა მისთვის, იმიტომ რომ არც ერთი არა რწყავს იმის მინდვრებს. რამდენად საჭიროა სარწყავი წყალი სამტრედიისათვის, ამის შესახებ ლაპარაკიც მეტია. მაგრამ მარტო სამტრედია არ არის ამ დღეში; ასეთივე დღე ადგია უწყლობით სოფ. ქვემო ქვიტირს, დინირს, ჭაგანს და კულაშს, მაგრამ ჯერ არავინ იწუხებს თავს, რომ საიდგანმე წყალი გამოიყვანონ ამ სოფლებში და ამით, სხვა არა იყოს-რა, გვალვას წინააღმდეგობა გაუწიონ. ჩემის აზრით, ჩვენთვის არ არის ძნელი ამ საშუალების მოგონება, რა-კი თვალწინ გვიდგას ხონისა, კუხისა და ჯიხაიშის მაგალითი. ეს სოფლები არ

---

გორც ზემოთა ვთქვით, ჩვენ ვხედავთ მიმბაძველობას, რომელსაც სრულიად არ აქვს განსაზღვრული მიმართულება—უფრო ხშირად ჰმოქმედებს სრულიად შეუგნებლად. ბავშვისათვის ერთნაირად გადამდებია, როგორც კარგი, აგრეთვე ცუდი მაგალითიც; პირ-იქით ცუდი უფრო გადამდებია, ვიდრე კარგი. ბუნებრივი ზიზღი ცუდისა ბავშვს არ აქვს, არ აქვს აგრეთვე არც აზრი ცუდის შესახებ და თუ ამისთანა აზრი ბავშვს დაებადება, ყოველ შემთხვევაში მოკლებული იქნება კრიტიკულ აზრს, რომელიც საჭიროა კარგისა და ცუდის გასარჩევად. კრიტიკული აზრიც რომ ჰქონდეს, მაშინაც ყოველ შემთხვევაში საეჭვოა, რომ ზნეობრივი ნება იმდენად ხელს უწყობდეს, რომ შეგნებულად მოიქცეს ეკლიანს გზაზედ კეთილსა და ბოროტს შორის. ბავშვს აქვს გრძნობა. ეს არის ერთად-ერთი ხელმძღვანელი სიმპატია-ანტიპატიის გამოსაცნობლად. გაატარეთ კეთილი აზრები მოსაწყენსა, მაგრამ საზნეობრივო მოთხრობებში,—შენიშნავთ, რომ ბავშვი გულს აიცრუებს კითხვაზედ და წიგნსაც უკუ-აგდებს. მაგრამ მოაქციეთ ბოროტება, სიძულილი და სხვა ბიწიერებანი გრძნობით ლამაზად დახატულ სურათებში და შენიშნავთ, როგორ შეიყვარებს, იმისდა მიუხედავად, რომ ის ბოროტებაა. მაშასადამე, თავდაპირველადვე ბავშვზედ შეიძლება ზნეობრივი გავლენა ვიქონიოთ მისის გრძნობის საშუალებით.

რადგანაც კრიტიკულად აწონდაწონვა რომელისამე ფაქტისა ბავშვს შეეძლება მხოლოდ უფროსის ხელმძღვანელობით, საყმაწვილო ჟურნალი ყველაზედ უფრო უნდა იპყრობდეს ისეთ მასალას, რომლის წაკითხვა და წაკითხულის შეგნება ბავშვს თავის-თავად არ გაუძნელდება. ამ აზრს ჩვენ უკეთ წარმოვიდგენთ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, როგორს გავლენას ახდენს წიგნის კითხვა ერთის მხრივ მოზრდილ, უკვე მომწიფებულს მკითხველზედ და მეორეს მხრივ პატარა ბავშვზე, რომელსაც წერა-კითხვა შეუსწავლია და წიგნების კითხვისათვის მიუყვია ხელი. ყველა ხელოვნური ნაწარმოები აღძრავს მოზრდილის სულში ცნობილს გრძნობებს, გამოიწვევს მკითხველში ან კმაყოფილების, და ან უკმარობის გრძნობას მოქმედების მიხედვით. მეორეს მხრივ იმავე ხელოვნურ ნაწარმოების კითხვას გავლენა აქვს მკითხველის ჭკუა-გონებაზედ, წარმოდგენილებაია აღძვრასა და მცნებების შედგენაზედ. მკითხველს შეუძლიან თავისი აზრი, შეხედულობა შეუერთოს წიგნში გამოთქმულ აზრს, ან გამოიცვალოს, გარდაქმნას თავისი შეხედულობა ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. რამდენადაც უფრო განვითარებულის ჭკუაგონების პატრონია მკითხველი, იმდენად მეტ კმაყოფილებას ჰპოულობს იგი საკითხავ წიგნის განყენებულ სფეროში, დასკვნაში და სხ. მისთვის წიგნი შემამოწმებელია იმ გრძნობებისა, რომელსაც დიდის ხნის განმავლობაში თავი მოუყრია, დაუბუდნია მოზრდილის მკითხველის სულში, გონებაში.

სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენს განუვითარებელი გონება ბავშვისა, რომელიც სცხოვრობს გრძნობითის შთაბეჭდილებით; გრძნობა ბავშვში სჭარბობს გონებასაც და ნებასაც. აქედგან ცხადად სჩანს, მოზრდილი მკითხველი იღებს წიგნების კითხვიდგან შთაბეჭდილებას გრძნობითაცა და გონებითაც ნებასთან შეერთებულად, რომელიც უკვე მომწიფებული აქვს; ბავშვს კი არა აქვს შესაფერისი და საჭირო განყენებული ცნებები, იგი წიგნის შთაბეჭდილებას იღებს რწმენით, პირველ რიგზედ ბავშვს გრძობა აქვს, რომლის საშუალებით შეიძლება ვიმოქმედოთ გონებაზედაც. ამასთან სხვა ბევრი ფსიხოლოგიური გარემოებაც რომ მივიღოთ მხედველობაში, იმ უტყუარ დასკვნას დავადგებით, რომ საბავშვო ლიტერატურა ბევრად განსხვავებული უნდა იყოს მოზრდილთა ლიტერატურისაგან; ის აზრი, რომ ლიტერატურა სარკეა ცხოვრებისა და ის ვალდებულია ჰხატოს ავიც და კარგიცაო, სავსებით ეკუთვნის დიდების ლიტერატურას, საყმაწვილო მწერლობას კი არ შეუძლია ეს ვალდებულება მთლად იკისროს და სინამდვილით შეასრულოს იგი.

ბ-ნის გომართელის აზრით: „ქვეყანაზე უზნეობაც ყოფილა, ბოროტებაც არის და კიდეც იქნება და ეს ბოროტება უნდა ჰხატოს საყმაწვილო მწერლობამო“. კაცობრიობას თანდაყოლილი აქვს აზრი კეთილისა და ბოროტის შესახებ, მაგრამ ჭეშმარიტის აღზრდის იდეალი იმაში მდგომარეობს, რომ ბოროტება თან და თან მოისპოს, მომავალი თაობა ბევრითა სჯობდეს ძველ თაობას როგორც ზნეობრივად, ისე სხვაფრივადაც. ბოროტება ყოფილა და არის, მაგრამ ისე ძლიერი არ არის, როგორც ძველად ყოფილა. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, თუ რამდენი ვნება მოუტანია კაცობრიობისათვის ბოროტების ცნებას; ზნეობრივ სიბოროტისა და კეთილის განსხვავებისაგან წარმომდგარან ბიწიერების კულტი, სიწამხდრის გმირები, სხვა და სხვა მაცდური ტიპები. ბოროტებას, როგორც დამოუკიდებელს ამაყს და დემონიურს ძალას, არ შეუძლიან ყველა ადამიანში ზიზღი გამოიწვიოს, მხოლოდ ზოგიერთს დიდბუნებოვანს, ზნეობრივად აღზრდილს ბუნებას შეუძლიან იგრძნოს ბუნებრივი ზიზღი. ზოგი ადამიანი უმეტესს შემთხვევაში ბოროტებისაგან თავშესაფარს ჰპოულობს ან ზნეობრივს მოვალეობაში, ან სარწმუნოებაში. მაგრამ ძველს დროს არც სარწმუნოება რჩებოდა ხელუხლებლად ბიწიერებისაგან. ძველად სიბოროტე, როგორც დამქცეველი ძალა ბუნებისა, უნერგავდა ადამიანს კეთილ მოკრძალეობითს შიშს, მაგრამ, როგორც უზნეო ძალა, გრძნობით მიმზიდველ ფორმებში გამოხატული, არათუ იშორებდა—იზიდავდა კიდეც ადამიანს თავისკენ. ბავშვებს არავითარი თავშესაფარი არ მოეპოვებათ არც მოვალეობასა და არც სარწმუნოებაში და მით უმეტეს საჭიროა განშორებული იქმნენ უზნეო სცენებს და სურათებს და თუ ბიწიერების ხატვა აუცილებლად საჭიროა ბავშვის კანონიერად აღზრდისათვის, მაშინ აუცილებლად საჭირო უნდა იყოს ისიც, რომ ცუდი მხარე რომელისამე მოთხრობის გმირში უნდა აღინიშნოს ისე, რომ რამდენადაც ზნეობრივად დაცემული იყოს გმირი, მის ბუნებაში მაინც უნდა სჩანდეს რამდენადმე თუნდ სუსტი კაცობრიობა და ზნეობრივი სიკეთეც. მაშინ ავი ზნე, როგორც შემთხვევითი გარემოება, ჰკარგავს ძალას ზედგავლენისას.—ქვეყნიერებისა და ბუნების სისტემატიური გაცნობა, რასაკვირველია, საჭიროა და ფრიად საჭიროც ბავშვობიდგანვე, მაგრამ ადამიანის ბუნების გაცნობა ბავშვისათვის ყოველის ღირსება-ნაკლულევანების მხრივ წარმოადგენს ორლესულ მახვილს, რომელმაც სარგებლობის მაგიერ შეიძლება უფრო მეტი ვნებაც მიაყენოს.

ვინც-კი დაჰკვირვებია ბავშვების აღზრდას ოჯახს და სკოლებში, შე-

...არიან დაჩაგრულნი გვალვისაგან და თავიანთ ნამუშევარს როცა უნდათ მაშინ მორწყავენ, რადგან მშვენიერი სარწყავი წყალი გაიყვანეს ცხენის-წყლიდგან. გარდა ამისა რამდენი სარგებლობა მოაქვს ამ სოფლებისათვის სარწყავ წყალს ვინ მოსთვლის.

სამტრედიას, კულაშს, ჭაგანს, დანიარს და ქვემო ქვიტირს ორ გზით შეუძლიათ წყლის მოპოვება: პირველი, შეიძლება ხონს, კუხს და ჯიხაიშს მიემართონ და ხარჯშიაც შეუდგნენ, რომ ცხენის-წყლიდგან მეტი წყალი გამოიყვანონ, ე. ი. რამდენიც საჭირო იქნება ყველა ამ სოფლებისათვის. ხონის და სამტრედიის გზა-ტკეცილს ორი თხრილი აქვს აქეთ-იქით, რომლებშიაც შეიძლება წყლის წამოყვანა. წყალი მაშინ არ დასტოვებს არც ერთ ზემოხსენებულ სოფელს, ურიებში გამოივლის (სოფ. კულაშში), სამტრედიაში და იქიდგან შეიძლება რიონს შეუერთონ. ამგ დიდ ხარჯს არ მოითხოვს, მხოლოდ ხონისა, კუხისა და ჯიხაიშის თანხმობაა საჭირო. თუ ვინიცობაა ეს არ მოხერხდა, იმ შემთხვევაში შეიძლება მეორე საშუალება იხმარონ, სოფ. ნხვენიშიდგან გადიყვანონ ცხენის-წყალი ან ღანირის ბოლოდგან. მაშინ ეს წყალი ასცდება ქვიტირს და ღანირს, მაგრამ კულაშს და სამტრედიას ხომ მოურწყავს სულს და ეს ცოტა საქმე როდია. ასე იქნება თუ ისე, ამ ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმის განხორციელება შეუძლებელი არ არის, თუ-კი ვინმე მოთავე გაცი გამოჩნდება. ეჭვი არ არის, რომ სოფლელები არაფერს დაზოგვენ ამ საქმისათვის. კარგი იქნება, რომ ამ კეთილ საქმეს ითავებდეს ჩვენის ქვეყნის მოდგაწე თ-დი ვლადიმირ მიქელაძე, ან სხვა ვინმე გულშემატკივარი, რომელთაც ცოდნაც მოსდევთ საქმისა და საზოგადოებაზედ გავლენაცა აქვთ.

ივანე მიქაძე

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. სეფიეთი, (სენაკის მაზრა). 18 ივნისს აქ ერთი უბედურება დატრიალდა: ამ სოფლის მცხოვრებ აზნ. ნესტორ თოფურიძის სახლს ცეცხლი წაეკიდა და გადაიწვა. ნაშუადღევის 3 თუ 4 საათი იქმნებოდა, ნესტორ თოფურიძე სადღაც წასულიყო, მისი ცოლიც მეზობლისას გადასულიყო და სახლში დარჩენილიყო ორი მოსამსახურე გოგო. ამათ ცეცხლი გაეღვივებინათ ბუხარში უთოს გასახურებლად. გადმოვარდნილიყო ერთი კარგი მოზრდილი ნაკვერცხალი და დავარდნილიყო იატაკზედ გდებულ ბალიშზედ გოგოების შეუნიშნავად. ცეცხლი კარგად მოეკიდებოდა ბალიშს, შემდეგ მოსდებოდა ნესტორის დის სამზითვოდ დამზადებულ ქვეშ-საგებსა და ალიც ავარდნილიყო. მოსამსახურეებს მაშინ გაეგოთ ცეცხლის გაჩენა. ერთი გოგო სცემოდა ქვეშ-საგებს, იქნება რამ ეშველოვო, მაგრამ იმასაც მოსდებოდა პირის სახეზე ცეცხლის ალი. გამოვარდნილიყო გარეთ და კივილი დაეწყო; მასთან მეორესაც ეკივლა: „გვიშველეთ დავიწვითო“. კივილი გაეგოთ მეზობლებს, მაგრამ ვიდრე ისინი მივიდოდნენ, ცეცხლი სახურავზედ ასულიყო. ბევრს სცდილიყვნენ მეზობლები, მაგრამ ვერაფერი ეშველათ; ცეცხლი იქიდგან გადასულა მეორე სახლზედ, მერე ბოსელზე და ამ რიგად ნაცარ-ტუტად უქცევია მთელი ნადგომობა და რაც შიგ მოიპოვებოდა. ზარალი დაახლოვებით 2500 მანეთამდე იქმნება. ერთი მანეთის საღირალი ვერაფერი გადაურჩენიათ და ამას გარდა ერთი გოგოც დაუშავებია ცეცხლს. ასეთს უბედურებაში ჩავარდა ნესტორ თოფურიძე თავისის წვრილი ცოლშვილით. საჭიროა მათთვის შემწეობის აღმოჩენა. იმედია, საქველმოქმედო საქმის მოყვარენი არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს მოულოდნელად დაზარალებულ ოჯახისათვის. თუ ვინმე რაიმე შემწეობის აღმოჩენას მოისურვებს, ვთხოვთ ამ ადრესით გამოგზავნონ:

М. Абаша. Нестору Топуридзе. въ сел. Сепіеты ანუ Кутаисъ, въ Кутаисскій кружокъ Ивану Платонову Топуридзе для передачи Нестору Топуридзе.

ი. თოფურიძე.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან „ივერიის“ და სხვა ადგილობრივის გაზეთების კორესპონდენციებიდგან, სეტყვამ წრეულს მეტად დიდი ზარალი მიაყენა ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთ. ეს ზარალი რამდენსამე მილიონ მანეთს აღემატება. ქართლისა და კახეთის არც ერთი კუთხე არ გადარჩა დაუსეტყვავი. ბევრმა სოფლის საზოგადოებამ ეხლავ მიჰმართა მთავრობას და სთხოვა გადასახადის გაღება დააცადონ, რადგანაც წრეულს დასეტყვის გამო არამც თუ კარგი, ცუდის მოსავლის იმედიც-კი არა აქვთ.

სეტყვა, როგორც ბუნების მოვლენა, მარტო ჩვენს ქვეყანას არ ეწვევა ხოლმე. სხვაგანაც ხშირია იგი. შიდა რუსეთის 50 გუბერნიაში, მაგალითად, როგორც „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, წრეულს სეტყვას 24,000,000 მანეთის ზარალი მიუყენებია. ასეთივე ზარალი მოაქვს სეტყვას ევროპის სხვა სახელმწიფოებშიაც, მაგრამ მაგარი ის არის, იქ თადარიგია მიღებული, ღონისძიებაა ნახმარი სეტყვის წინაამდეგ და ამიტომ იგი იმდენად საგრძნობელი არ არის იქ, რამდენადაც ჩვენში.

როგორც ვუწყით, ერთად-ერთი საშუალება სეტყვის წინაამდეგ ნათესის დაზღვევაა. რუსეთში ამ საქმეს დღემდის მცირე ყურადღებას აქცევდნენ, ეხლა-კი როგორც ჟურნალ-გაზეთებმა, აგრეთ ე მთავრობამ მოუხშირა ამის შესახებ ლაპარაკს. იმასაც-კი ამბობენ, რომ მთავრობას აზრადა აქვს სავალდებულოდ გაჰხადოს სოფლის მცხოვრებთათვის ნათესის სეტყვისაგან დაზღვევა. გაზ. „Рус. Вѣд.“-ის სიტყვით, სეტყვისაგან დაზღვევის საქმე ევროპის სახელმწიფოთა შორის ყველაზედ კარგა გერმანიაშია მოწყობილი.

„იქ 1888 წელს, მოგვითხრობს გაზეთი, სეტყვისაგან დაზღვეულ იქმნა მოსავლის $48^0/_0$. ავსტრო-უნგრეთში — მოსავლის $27^0/_0$, საფრანგეთში — $8^0/_0$. ჩვენში, რუსეთშიკი, 10 წლის განმავლობაში მოსკოვის დამზღვევ საზოგადოებაში დაზღვეულ იქმნა მოსავლის ღირებულობის მხოლოდ $0,38^0/_0$. ეს საზოგადოება უმთავრეს მიზეზებად იმისას, რომ ჩვენში ნაკლებად აზღვევენ მოსავალს, ასახელებს არა ნორმალურს მდგომარეობას სასოფლო მეურნეობისას, რომელიც წარმომდგარა ნაწარმოების მაზანდის დაცემის გამო. მაგრამ, ჩვენის აზრით, აქ იმ მიზეზსაც არა მცირე ადგილი უკავია, რომ ხალხი, სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა არ იცნობს დაზღვევის საქმეს, არ იცის, გის უნდა მიჰმართოს, როგორ გაკეთოს საქმე და სხვა“.

გაზეთის სიტყვით, რუსეთში უმთავრესად მდიდარი მემამულენი აზღვევდნენ ნათესს, ღარიბნი, გლეხობა-კი დღემდის მოკლებულია ამას. რუსეთში თუ ასეა საქმე, ჩვენში უფრო უარესად არის: აქ მდიდარი მემამულეებიც-კი არ აზღვევენ ნათესს, გლეხობის შესახებ ხომ რაღა ითქმის. ყველა ამის გამო საჭიროა, ვგონებთ, ამ საქმეს მეტი ყურადღება მიექცეს. გვიკვირს, რატომ თვით მემამულენი (შეძლებულნი, რასაკვირველია,) არაფერს იზრუნავენ და არ იფიქრებენ ამ საქმის მოსაწყობად.

# რუსეთი

როგორც ვუწყით, ფინანსთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სავალდებულო გაჰხადონ ქარხნების მუშების დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან. ეხლა „С. О.“-ა იუწყება, რომ მთავრობამ ამ საქმის განხილვა შემდეგისთვის გადასდოო.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფოს საბჭოს დადგენილება ეკატერინოსლავში უმაღლესს სამთო სასწავლებლის დაარსების შესახებ. სასწავლებელი სექტემბრიდგან იქმნება დაარსებული. ყოველ წლიწად სასწავლებლის შესანახად ხაზინა 104,350 მანეთს გადასდებს. სასწავლებელს ორი განყოფილება ექმნება: სამთო და საქარხნო. სწავლის ვადა სამი წელიწადი იქმნება.

— ზოგიერთ ერობათ შუამდგომლობა აღძრეს საერო განათლების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეთ მათ დააარსონ ახალის სახის სასწავლებლები. სწავლის ვადა ამ სასწავლებლებში 8 წელიწადი იქნება: ერთი წელიწადი მოსამზადებელ კლასისათვის, 5 — საზოგადო საგნების შესასწავლად, ხოლო ორ წელიწადს სასოფლო-სამეურნეო განათლებას მოანდომებენ.

საშუალო სწავლა-ცოდნის გასავრცელებლად გლეხთა შორის...

---

ნიშნავდა, რომ ჩვენს ოჯახებში ბავშვის აღზრდა ბედზედ არის მიგდებული, მშობლები ან მცირე ყურადღებას აქცევენ ბავშვების კანონიერ ზნეობრივად აღზრდას, ან სრულიად არ აქცევენ ყურადღებას. ამის გამო ბავშვები ხშირადვარდებიან არა სასურველ ვითარებათა გავლენის ქვეშ და ითვისებენ ცუდს საქციელს, არა სასურველს ჩვეულებებს; ერთის სიტყვით, ბევრს ოჯახში ბავშვები მოკლებულნი არიან წმინდა ზნეობრივად გამასპეტაკებელ გავლენას. ამისთანა ბავშვი სასწავლებელშიაც ჰხედავს თავის ამხანაგს, ისე აღზრდილს ოჯახში, ქუჩაში, როგორც თითონ, მეტით თუ არა, არა ნაკლების თვისებებით შემკულს. ვთქვათ, ამისთანა ბავშვს ჩაუვარდა ხელში კარგი მოთხრობა, რომელიც შინაარსით განირჩევა სკოლისა და ოჯახის ერთგვარის ცხოვრებისაგან, მაშინვე პატარა მკითხველში დაიბადება უკეთესი გრძნობები, რომელიც წაახალისებს. ბავშვის სულში გაჩნდება ბრწყინვალე აზრები, რომელიც მოითხოვს თანაგრძნობით მოპყრობას.

„გაცნობა ადამიანისა, რომელიც ნამდვილად არსებობს“, როგორც ბ-ნი გომართელი ჰბრძანებს მოუხერხებელია არათუ პატარებისათვის, არამედ 15 — 16 წლის ყმაწვილისათვისაც. ამ აზრის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ერთის 16 წლის ყმაწვილის აზრს, რომელსაც წაუკითხავს რუსების ცნობილის მწერლის დოსტოევსკის თხზულება: „არ შემიძლიან ავწერო ის საშინელი გავლენა, რომელიც მოახდინა ჩემზედ დოსტოევსკის კითხვამ. ამ დროს მოხდა მთელი არეულობა ჩემს ცხოვრებაში; თუ აქამდის ჩემი ბუნება იყო ცხადი, წმინდა და უშფოთველი, დოსტოევსკის კითხვის დროს ეს სანეტარო მდგომარეობა ამემღვრა. გამოვცადე რა წვალება საწყალის ხალხისა, გავიგე რა საშინელი საიდუმლოება ცხოვრებისა, მე თვითონ შევიქენ უბედური. დავკარგე გონიერი შეხედულობა ცხოვრებაზედ საზოგადოდ და ჩემსაზედ კერძოდ; საშინლად მეშინოდა ჩემის არსებობისა; დავუკვირდი ცხოვრებას ყოველის მხრივ და მომეჩვენა ბნელად მოცული, გაუგებარი; შევუდგე ჩემის არსებობის საგანს და მეჩვენა იგი არაფრად. რა კითხვები არ მივეცი ჩემს თავს ამ დროს! განსაკუთრებით მძიმე წუთები გამოვცადე ღამ-ღამობით, როდესაც გარშემორტყმულ ბუნებას სძინავდა, მე ვრჩებოდი მარტო ჩემის ფიქრებით, ძალიან მეშინოდა; რაღაც წყვდიადით იყო მოცული ჩემს გარემო და ჩემშიაც“. (იხ. რუსული ჟურნალი „Образованіе“ № 4. 1899 წ.). ამის მიხედვით ბ-ნის გომართელის აზრს, რომ 15 — 16 წლის ყმაწვილს ყველაფერი უნდა გავაცნოთო, ჩვენ ვერ ვაღიარებთ საზოგადო სახელმძღვანელო აზრად აღზრდის საქმეში. ცხოვრება გავაცნოთ ბავშვებს, ამის წინააღმდეგი არა ვართ ჩვენ, როგორც ვთქვით, მაგრამ სრულიად არც საჭიროა და არც სასარგებლო, რომ ბავშვების ყურადღება მივაპყროთ ავადმყოფს და ზნეობრივად გახრწნილს კაცებს, რომელიც ცხოვრებაში ბლომად შეიძლება მოიპოვებოდეს. ცოდნა სიბილწისა ბავშვს არ გაუწევს ხელმძღვანელობას, არ მისცემს იდეალურს სახეს, რომელსაც უნდა მიჰყვეს მკითხველი. იმისთანა მოთხრობები, რომელშიაც აღწერილია ცხოვრების ცუდი მხარე, გამოიწვევს ბავშვებში, უკეთესს-კი არა, უარესს სულის მოძრაობას. განა უგუნურება არ იქნება ვკვებოთ ბავშვი დამპალის საჭმლით იმ აზრით, რომ გამოცდილებით გაიგოს მან ვნება ამგვარის საჭმლისაო. სწორედ ამაზედ უარესი უგუნურება უნდა იყოს და მასთან ულვთოებაც ასაზრდოვოთ ბავშვის სული ზნეობრივის სიმყრალით, განძრახ გააცნოთ ბავშვს ცხოვრებაში შენიშნული სიმყრალე. ამ აზრის მიმდევარს აღმზრდელს ავიწყდება ერთი პსიხოლოგიური კანონი, რომელიც ამბობს, ადამიანის სულში ძნელად გაივლის რამე, რომ შიგ კვალი არ დასტოვოსო. როგორც ფიზიკურს, ისე სულიერს ბუნებაშიაც არაფერი იკარგება. მოქმედებასა და საქციელს ისეთი გავლენა აქვს ბავშვზედ, რომ ხშირად მონაბა ჰხდის მათ, თითქმის ფიქრიც-კი რომელისამე საქციელის შესახებ შეადგენს დასაწყისს იმავე საქციელისას; ყოველის ფიქრის დროს რომელისამე ცუდის საქციელის გამო, ბავშვს ემატება შემთხვევა, რომ ჩაიდინოს იმავე საქციელს, თანდათან მზადება და განსაცდელში ვარდება. ამისთანა აზრებს დიდი გავლენა აქვს ბავშვის ხასიათის შემუშავებაზედ.

ყველა ზნეობრივად აღმზრდელი ბავშვისა იმას უნდა სცდილობდეს, რომ აღზარდოს მომავალი წევრი საზოგადოებისა, ამ შემთხვევაში აღმზრდელი ხელმძღვანელობს საუკუნისა და საზოგადოების იდეალით. მასწავლებელი ანუ აღმზრდელი თავდაპირველად წარმოადგენს მხატვარს, მოსწავლე კი მასალას, რომელსაც უნდა მიეცეს რამე ფორმა. აღმზრდელი სცდილობს თავისი აღზრდილი თითონ მას დაემსგავსოს. რამდენათაც შესაძლებელია ეს, ამის შესახებ პასუხს მომავალი მისცემს. წინდა-წინ-კი ძნელია ითქვას, — რით იქნება ბავშვი მოვალე თავისს აღმზრდელისა ზნეობრივად განვითარებაში, ან რა უნდა მიეწეროს ბავშვის თვითმოქმედებას. ამის მიხედვით პედაგოგი უკუ აგდებს ყველა მოსაზრებას და სცდილობს ჩაუნერგოს ბავშვს კარგი ჩვეულებანი. რა იქნება მომავალში, არ ვიცით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იმ ბავშვისაგან მომავალში გამოვა ისეთი ადამიანი, რომელსაც შეეძლება ზნეობრივი წესიერების დაცვა. ამიტომ ვამბობდით ჩვენ, რომ „აღმზრდელმა ბავშვი უნდა ააშოროს ისეთ სცენებს, რომელსაც შეუძლიან ზნეობრივად ცუდათ იმოქმედოსო.“ ბ-ნ გომართელს ეს აზრი არ მოსწონს. კაცია და გუნებაა!

ერთს ოჯახში რაღაც დანაშაულობისათვის ბავშვი დაუსჯიათ. ბ-ნ გომართელის კითხვაზედ ბავშვს ვერ მიუგია, თუ რისთვის გალახეს. ეს მაგალითი მოჰყავს ბ-ნს გომართელს საკუთარის დაკვირვებიდგან და მოყვება ლ ღადს: „ამ გვარი ბავშვი მეორედ იმას კი არ ეცდება, რომ თავისი ცუდი საქციელი აღარ გაიმეოროს, არამედ იმას, რომ ვეღარ გაუგონ (რა?) ცუდ საქციელს კიდევ ჩაიდენს (იმავეს თუ სხვას?), რადგანაც მისი სიცუდე არავინ გააგებია, ხოლო უფრო ფრთხილი იქნება“ (როდის? რაში?) როდის მოგახსენეთ, ბ-ნო გომართელო, რომ ბავშვს ცუდის საქციელისათვის ნუ ამხელთ მეთქი. ან რათ დაგჭირდათ ეს მაგალითი, რომელიც სრულიად უკავშიროდ ჩაგიწებებიათ თქვენს წერილში! ნეტავი რა დარიგებას მისცემდა ბ-ნი გომართელი იმ ბავშვის მშობლებს ამ საქმეში? ალბად ეტყოდა, ჯერ აუხსენით, გააგებინეთ დანაშაული და შემდეგ სცემეთ, რომ იმისთანა საქციელი მეორედ არ გაიმეორონო. კარგი დედა აზრია!!

ლ. ბოცვაძე.

(დასასრული იქნება)

მთავრობას გარდაუწყვეტია გლეხის შვილები მიიღოს ხოლმე იმ სასწავლებლებში, რომლებიც დაარსებულია კარგის ჯიშის ცხენის მომშენებელ საზოგადოებასთან.

— მთავრობის გარდაწყვეტილებით 14 ივლისიდგან რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლების იმ მოსწავლეთ, რომელთა მამებიც რკინის გზებზედ მსახურებენ, უსასყიდლოდ შეეძლებათ რკინის გზით მგზავრობა.

— გაზეთების სიტყვით, ის ზარალი, რომელიც ქ. ნიკოლაევის მცხოვრებლებმა მიაყენეს ებრაელთ ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ მომხდარ არეულობის დროს, უდრის 110,000 მან. დაზარალებულნი არიან უმთავრესად საშუალო და წვრილვაჭრები და ხელოსნები. მათ შორის 74 ოჯახს სრულიად მოსპობია საცხოვრებელი სახსარი.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ზოგიერთი გაზეთის სიტყვით, მთავრობის კამისარს რენის სამხედრო სასამართლოში, კაპიტანს, გადაუწყვეტია, ახალი გამოძიება აღარ მოახდინოს დრეიფუსის საქმისა გამო და დაკმაყოფილდეს საკასაციო სასამართლოს გამოძიებით. აქედგან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ამ საქმის გარჩევა მხოლოდ იურიდიული ფორმის შესრულება იქნება და სხვა არაფერი, და ამ გვარ შემთხვევაში იმას ბევრად უფრო ადრე გაიხილავენ, ვიდრე წინაზედ ეგონათ. მაგრამ ამგვარ ცნობების წინააღმდეგს ამბობენ სხვები. მაგალითად, დრეიფუსის ვექილები — დემანჟი და ლაბორი უოფილან კაპიერთან და ამ უკანასკნელს უთქვამს მათთვის, რომ არ შემიძლიან გითხრათ, როდის გაირჩევა თქვენი მრწმუნებლის საქმეო, რადგან მე ერთობ მძიმე მოვალეობა მაქვს ნატვირთი და იმის შესწავლას ბევრი დრო უნდა მოვანდომოო.

დრეიფუსისათვის ჯერ ჩვენება არ ჩამოურთმევიათ; ის ეხლა თავისს საქმეს სწავლობს დემანჟისა და ლაბორის ხელმძღვანელობით. წინაზედ ამბობდნენ, რომ ის სულით არის დასაგამოუფლებულიო, მაგრამ, მისი ვექილების სიტყვით, ის ჯანსაღად არის, თუმცა-კი წინანდებურად აღარ უჭრის გონება. თითონვე დრეიფუსს უთქვამს ლაბორისათვის: „მე ძლიერ მტანჯავდა გვიანის სიცხე და ხშირად ცული მიმდიოდა. ამის გამო ჩემი გონივრული ძალა და მეხსიერება ცოტათი მესუსტდა. მაგრამ რამდენიმე დღე დაგაცადეთ, და მე შევისწავლი ჩემს საქმესო“.

— დრეიფუსის მოსვლის გარდა, სალაპარაკო საგნად საფრანგეთში დერულედის სიტყვა გაუხდიათ, რომელიც სენ-ლეუში წარმოსთქვა მან ამ დღეებში. ორატორი თავისს სიტყვაში პირველად ჩვეულებისამებრ კრიტიკულად შეეხო პარლამენტარულ რესპუბლიკას, რომლისაგანაც მისის სიტყვით, ყოველგვარი უბედურება წარმოსდგება საფრანგეთში და მთელი ქვეყანა იტანჯება, და შემდეგ დრეიფუსის საქმეზედ გადავიდა. ჩვენ, ყველა კეთილ-სინდისიერი ფრანგი, დარწმუნებული ვიყავით, — ასე დაიწყო ორატორმა ლაპარაკი, — რომ ქვეს სამხედრო მინისტრი და სამი პრემიერი არ შესცდებოდნენ ანუ ტყუილებით არ დაგვიწყებდნენ გვებეგს ამ ხუთი წლის განმავლობაში. ნაგმეობა იქნებოდა, ვინმემ მტკიცება დაეწყოს, რომ არც ერთს ამ მინისტრთაგანს კარგად არ ჰქონია შესწავლილი ეს საქმე, რომელმაც ასეთს განსაცდელში ჩააგდო საფრანგეთიო. შეურაცხება იქნებოდა, ეჭვი გვიღოთ, რომ ეს მინისტრები ერთი მეორეს ტყუილებს აჩეჩებდნენ ხელში და თან ავალებდნენ, ისე შეენახათ ეს ტყუილები, როგორც რაიმე მკირფასი განძიო. მაგრამაო, — განაგრძო დერულედმა, — გვრწმუნოთ თამამად ჩვენს მოწინააღმდეგეთა სიტყვებსო. დიახ, დრეიფუსი თუ უდანაშაულოდ იქმნა ცნობილი, არ არის ისეთი სასჯელი, არ მოიპოვება ისეთი სამარცხვინო ზომა, რომლის ღირსიც არ იყვნენ ყველა ეს სამოქალაქო და სამხედრო მინისტრები, რომელთაც დასაჯეს დრეიფუსი ანუ სხვებს მისცეს მისი დასჯის ნება იმ დანაშაულობისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენიაო. ყოველ-გვარი შურის მიება, ყოველ-გვარი სასჯელი, რომელიც მათ უნდა მიადგეთ, კანონიერი იქნებაო. რაც შეეხება წამებულს, იმათ მსხვერპლს, არ შეიძლება გამოსამხნოს ვინმე იმისთვის შესაფერისი უმაღლესი პატივისცემა, შესაფერისად აღადგინდეს მისი პატივი და სახელიო. მაგრამ მხოლოდ არ იყოს გარჩაკეტილობა, არა დაიფაროს რაო. ყველაფერი უნდა ვიცოდეთ, ყველაფერი უნდა გაგვაგებინონო.

დერულედის სიტყვას ძლიერ გაუკვირვებია მისი მსმენლები.

—

**ინგლისი.** 1899—1900 საბიუჯეტო წლის პირველ ტრიმესტრის განმავლობაში ინგლისის ხაზინას 1,800,000 გირ. სტერ. მეტი შემოსვლია, ვიდრე შარშან იმავე ხნის განმავლობაში; სახელდობრ: შარშან შემოსულა 25,900,000 გირ. სტერ., წელს — 27,700,000. ეს გარემოება კიდევ ახალი დასამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ინგლისი ქონებრივად თანდათან წინ მიდის და ამ მხრივ ჯერ არაფერს დაუბრკოლებია იგი. საკვირველი ის არის, რომ თუმცა ფაშოდის გამო შარშან და სამხრეთ-აფრიკის გამო წელს ინგლისის საზოგადოებამ დიდი მღელვარება გამოიარა და ეხლაც იმავე მდგომარეობაშია, მაგრამ მისი წარმოებითი და სააღებ-მიცემო ძალა ვერაფერმა შეაფერხა.

—

**გერმანია.** ამ დღეებში ხმა გავრცელდა, რომ ჰერბერტ ბისმარკთან თათბირი ჰქონდა იმპერატორ ვილჰელმს და ერთ-ერთი სამინისტრო უნდა ჩააბაროსო. რამდენმამე გაზეთმა გადააჭარბა კიდეც და ამტკიცებდა, რომ იმპერიის კანცლერად დაინიშნება ჰერბერტ ბისმარკიო. ეხლა ოფიციოზური გაზეთები აცხადებენ, რომ ეს ხმები სიმართლეს მოკლებული არისო. ბისმარკი არც კი უნახულებია თურმე იმპერატორს, როგორც ზოგნი არწმუნებდნენ საზოგადოებას.

## დამჯერნი

ცოდნა გონების ფარია, რომლითაც ვიგერებთ სხვა-და-სხვა შეცდომას.

ბ. დ—ლი

***

გაჲ არს მათდა, რომელნი იტყვიან მწარესა ტკბილად, და რომელიც კაცთმოძულებასა კაცთ-მოყვარებად სახელსდებენ.

ეფთვიმე მთაწმინდელი.

***

გლოცავ დედასა და მამასა ჩემსა: იგინი იყვნენ სახე ქველობისა, სიმშვიდისა, სიყვარულისა, სიმდაბლისა, ახოვნებისა და მედგრად მოღვაწეობისა.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად ვწერდით, რომ ამერიკის ქალაქ ნიუ-იორკში კატების გამოფენა გამართესო. ეხლა ასეთივე გამოფენა, და არა მარტო კატებისა, ძაღლებისაც-კი, გაუმართავთ ინგლისის სატახტო ქალაქ ლონდონში. ამ გამოფენას, როგორც ინგლისელი გაზეთები იუწყებიან, უფრო კარგად და უფრო „ბრწყინვალედ“ ჩაუვლია, ვიდრე ნიუ-იორკისას. როგორც გამოფენამ დაამტკიცა, ინგლისში ძაღლებისა და კატების მოყვარულნი ყოფილან განსაკუთრებით არისტოკრატი-ქალები და არტისტი-ქალები. მონაწილეობაც გამოფენაში თითქმის მხოლოდ მათ მიუღიათ. მრავალ ლორდის და ჰერცოგის ძაღლს უსახელნია თურმე თავი ამ გამოფენაზედ, რასაც ალტაცებაში მოუყვანია ეს „კეთილ-შობილნი“. საზოგადოდ ინგლისის ბრწყინვალე არისტოკრატიის მანდილოსანნი ისე არაფერზედ არა ზრუნავენ თურმე, როგორც ძაღლებსა და კატებზედ. მათ განსაკუთრებული კლუბებიც-კი დაუარსებიათ, რომელთაც აზრად ძაღლებისა და კატების მოვლა-მოშენება აქვთ. ის ბაღი, სადაც გამოფენა გაუმართავთ, სამაგალითოდ ყოფილა მოწყობილი ყვავილებითა და ხვეულებით. ჩასუქებული და კმაყოფილი ძაღლები და კატები ამაყად დასეირნობდნენ თურმე ამ ბაღში.

***

საბერძნეთის სატახტო ქალაქის ათინის მანდილოსანნი ძალიან დაღონა და დააფიქრიანა თურმე იმ მოვლენამ, რომ ამ ბოლოს დროს ახალგაზრდა ქალები ვეღარა თხოვდებიან და ახალგაზრდა კაცები კიდევ ცოლებს აღარ ირთავენ. რაც დრო და ხანი გადის, გაუთხოვარ ქალთა და უცოლო კაცთა რიცხვი მით უფრო მრავლდება საბერძნეთში. ქალებს რამდენჯერმე კრებაც-კი ჰქონიათ ამის შესახებ მოსალაპარაკებლად და დასახელებულ მოვლენის თავიდგან ასაცდენად რაიმე საშუალების გამოსაძებნად. ბოლოს მანდილოსანთა კრებას ერთხმად დაუდგენია პეტიცია მიართვას საბერძნეთის პარლამენტს და სთხოვოს ახალი კანონი გამოსცეს. ამ კანონის ძალით დიდი გარდასახადი უნდა გაიღონ იმ მამა-კაცებმა, რომელნიც ორმოც წლამდე ცოლს არ შეირთამენ. მანდილოსნებს-კი დაუდგენიათ, მაგრამ საეჭვოა, რომ პარლამენტმა შეიწყნაროს იმათ თხოვნა. საქმე ის არის, რომ საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობას ცოლები არა ჰყავთ და ორმოც წელიწადსაც გადაცილებული არიან, ასე რომ ახალი კანონის სიმძიმე პირველად თვით ამ დეპუტატებმავე უნდა იგემონ.

***

დღემდის მცოდნე კაცები და მეცნიერნი ვერ შეთანხმებულან იმის გამო, თუ ანდრეს თავისის ჰაერონავტით რამდენ ხანს შეეძლო ჰაერში ფრენა. ზოგი ერთ თვეს ასახელებს, ზოგი კიდევ ამბობს, რომ რამდენსამე დღესაც გაუჭირდებოდა ჰაერში ფრენა და ძირს უნდა დაშვებულიყოვო. ეხლა ბერლინში გადაუწყვეტიათ ამის გამოკვლევა, ე. ი. იმის გაგება, თუ კარგად მოწყობილს ჰაერონავტს რამდენ ხანს შეუძლიან ფრენა. გამოსაცდელად ისარგებლებენ იმ უზარმაზარის ჰაერონავტით, რომელიც 1896 წელს ბერლინის გამოფენისათვის იყო მომზადებული. ამ საქმის მოთავეა ვიღაც ზეკელი. აზრადა ჰქონიათ ამ თვეში გასდგომოდნენ გზას, მაგრამ ყველაფერი, რაც-კი საჭირო იყო ამ მგზავრობისათვის, ვერ მოამზადეს, და ამის გამო ივლისის მეორე ნახევრამდე გადასდეს. ზეკელს აზრადა აქვს გერმანიიდგან თავისის აეროსტატით აზიისაკენ გაუდგეს გზას. თან ზეკელი რამდენსამე საფოსტო მტრედს წაიყვანს, რათა იმათ შემწეობით წერილების გამოგზავნა შეეძლოს ხოლმე.

## ახალი წიგნები

—

ჩვენ მოგვივიდა ცალკე წიგნად გამოცემული 1) „სამი პოემა“ ჩვენის პატივცემულ მწერლის ან. ფურცელაძისა — „ციკარა“, „ცხრა ძმა“ და „წყალობა“. ეს პოემები, როგორც ვუწყით, „მოამბე“-ში იყო დაბეჭდილი. წიგნი მოზრდილის ფორმატისაა, შეიცავს ორასამდე გვერდს, კარგს ქაღალდზედ დაბეჭდილს, და ჰღირს 50 კაპ., რაც ძვირად არ ჩაითვლება, და 2) „Какъ лучше покрыть Мцхетскій Патріаршій соборъ?“ გამოცემული მცხეთის ტაძრის განსაახლებლად შემდგარ კომიტეტის მიერ. წიგნაკის შინაარსი ამას წინად უკვე გავაცანით მკითხველებს. წიგნაკი ღირს 10 კაპეიკი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ივნისი

**პარიჟი.** იტალიელს გენერალს ჯილეტტის, რომელსაც ამას წინად ჯაშუშობისათვის ხუთის წლით საპატიმრო გარდაუწყვიტეს, ეპატია სასჯელი 2 (14) ივლისის საერო დღესასწაულისა გამო.

**ბელგრადი.** დაპატიმრებულია რამდენიმე სასულიერო წოდების კაცი, მათ შორის დეკანოზი მილიჩი. კნიაჟევიჩი თავისს თავს დამნაშავედ აღიარებს, ხოლო ამტკიცებს, რომ წარჩინებულმა რადიკალებმა მომისყიდესო. სახელმწიფოთა მეთაურების უმეტესმა ნაწილმა მოულოცა მეფე ალექსანდრეს.

29 ივნისი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა, საერო განათლებისა და სასჯულო საქმეთა მინისტრებმა და უწ. სინოდის ობერ-პროკურორმა დაადგინეს სრულიად მოისპოს გამოცემა ჟურნალის „Начало“-სი („დასაწყისი“-სა), რომელიც პეტერბურგში იბეჭდება.

**ბელგრადი.** ბელგრადსა და იმისს ოლქში სამხედრო დროის წეს-რიგია გამოცხადებული. ეს განკარგულება გამოიწვია იმ გამოძიების მიერ აღმოჩენილმა საბუთებმა, რომელიც მილანზედ თავ-დაცემის გამო იყო დაწყებული. დეკანოზი ჯურიჩი, თვალ-საჩინო რადიკალი, უჟიციდგან ბელგრადში მოიყვანეს და პოლიციას გარდასცეს. გაზ. „ოდიეკი“-ს ორი თანამშრომელი დაპატიმრებულია და გაზეთის გამოცემა მოსპობილი.

**ბელგრადი.** ოფიციალურს ორგანოში გამოცხადებულია მეფის ბრძანება სამხედრო წეს-რიგის დადგენის შესახებ. ბრძანებაში ნათქვამია, სხვათა შორის, რომ ამ წეს-რიგს დაექვემდებარებიან ისინიც, რომელიც მილანზედ თავ-დასხმის გამო არიან დაპატიმრებულნი.

**ბელგრადი.** სააპელაციო სასამართლოს წევრი ნასტას ანტონოვიჩი დანიშნულია მილანის საქმის გამომძიებლად.

29 ივნისი.

**პეტერბურგი.** 29 ივნისს ისაკიევის ტაძარში პეტერბურგის მიტროპოლიტის ანტონის მიერ გარდახდილ იქმნა წირვა ღვთივ განსვენებულ მემკვიდრე ცესარევიჩის სულის მოსახსენებლად, და შემდეგ პანაშვიდი. ამავე დროს ყველა სხვა ტაძარშიაც იქმნა გარდახდილი პანაშვიდი. ეკკლესიები ხალხით სავსე იყო.

კრასნოე სელოში დანიშნული საიუბილეო პარადი ლეიბ-გვარდიის სათადარიგო ქვეითა პოლკისა გადადებულ იქმნა მემკვიდრე ცესარევიჩის გარდაცვალების გამო.

**ვარშავა.** 29 ივნისს აქაურს ტაძარში არხიეპისკოპოზის იერონიმეს მიერ, იქაურ უფროსისა, მრავალ წარჩინებულთა და მრევლის თანადასწრებით, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ღვთივ განსვენებულ მემკვიდრე ცესარევიჩის სულის მოსახსენებლად.

**კრონშტადი.** მემკვიდრე ცესარევიჩის გარდაცვალების გამო, ყველა სახელმწიფო დაწესებულებამ, საკონსულოებმა და სამხედრო გემებმა ბაირაღი დაიწიეს.

**პარიჟი.** გაზეთები, ლაპარაკობენ-რა მემკვიდრე ცესარევიჩის გარდაცვალების შესახებ, ამბობენ, რომ მწუხარებას, რომელიც რუსეთის სამეფო გვარეულობას ეწვია, მთელი საფრანგეთიც იგრძნობსო, რადგან მწუხარება რუსებისა ფრანგების მწუხარებაც არისო.

30 ივნისი

**პეტერბურგი.** განკარგულებაა იმის შესახებ, რომ განურჩევლად ყველა ჯარში დადგენილ იქნას სამის თვის მგლოვიარება 28 ივნისიდგან დაწყებული.

**პარიჟი.** „Liberte“ ამბობს, რომ მთელი საფრანგეთი უერთდება საიმპერატორო გვარეულობის და რუსეთის მწუხარებასაო. შემდეგ გაზეთი მხურვალედ აქებს ღვთივ განსვენებულს მემკვიდრე ცესარევიჩს.

„Republ. Fron.“ ამბობს, რომ განსვენებული ცესარევიჩი ღირსეული შვილი იყო იმპერატორის ალექსანდრესიო. საფრანგეთში, სადაც სტუმრად იყო, არასოდეს არ დაივიწყებენ იმასაო. გაზეთი უმატებს, რომ საფრანგეთი რუსეთთან ერთად დიდად სწუხსო.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ქვემო-ბიის (ზუგდიდის მაზრა) ახლად აშენებულ მაცხოვრის ეკკლესიას შემოსწირა ხობის სოფლის მცხოვრებმა სალომე ჯორჯიკიასამ ბოლქვაძის ასულმა მაცხოვრის ხატი ხუთ მანეთად ღირებული და შანდალი, სამ მანეთად ღირებული, რისთვისაც უმორჩილეს მადლობას ვუცხადებ.

მღვ. ნესტორ სასანია


## განცხადებანი

დაიბეჭდა ჲ იყიდება
„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი
**ა. ს. პუშკინისა**
ფასი 50 კაპ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 30 го Іюня 1899 г. — სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა — რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.